შესავალი

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანია დასახული ამოცანების წარმატებით რეალიზაცია თსუ-ის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის კორექტირება განაპირობა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის საჭიროებამ.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების განახლებულ გეგმასთან ერთად, ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეყრდნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეფექტიანობისა და საჭიროებათა შეფასების კვლევებს (იხ. თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა), აგრეთვე, ფაკულტეტის მიერ სხვადასხვა დროს ფაკულტეტზე მიმდინარე საქმიანობის შემსწავლელ და შეფასებაზე ორიენტირებულ კვლევებს.
სტრატეგიას საბოლოო სახე მიეცა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლებთან გამართული დისკუსიების და ელექტრონული მიმოწერის საფუძველზე. გათვალისწინებულ იქნა კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების მოსაზრებები.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

ფაკულტეტზე იქმნება სტრატეგიაზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანი. ჯგუფი მოიცავს 12 ადამიანს (4 პროფესორი, დეკანის 2 მოადგილე, ფაკულტეტის სხვადასხვა სამსახურის უფროსები (4), 2 სტუდენტი).

სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმირების პროცესში ფაკულტეტი ითვალისწინებს თსუ-ის ინსტიტუციური ეფექტიანობის შიდა და გარე შეფასების, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის შედეგებს, უნივერსიტეტის საქმიანობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტებს, აგრეთვე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას საერთაშორისო კონტექსტის გასათვალისწინებლად.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე, უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად, ფაკულტეტი ახდენს ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიკაციას. შემდგომ ეტაპზე ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად ხდება არსებული სიტუაციის ანალიზი - SWOT ანალიზი.

სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ძირითადი სტრატეგიული მიზნების/ამოცანების, შესაბამისი აქტივობებისა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების/კრიტერიუმების ჩამოყალიბება მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კომუნიკაციის პირობებში.

ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების, ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეჯერების შემდეგ მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

II. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი

ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფის ბაზაზე შეიქნება სტატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ჯგუფი 13 პირის - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, საბჭოს 7 წევრისა და 5 სტუდენტის შემადგენლობით. ჯგუფს ხელმძღვანელობს დეკანი.

მონიტორინგის პროცესის სქემა შედგენილი იქნება ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით. მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ორჯერ მაინც წარადგენს შუალედურ ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს პროგრესის, მიმდინარე სიტუაციის და რისკების ანალიზის სახით.

მონიტორინგის ჯგუფი სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგებს და მისგან გამომდინარე რეკომენდაციებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. მონიტორინგის ჯგუფის ყოველი მოხსენების შედეგების გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდება სამოქმედო გეგმის გადახალისება.

სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის და/ან მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში.

III. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ✓ ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებების - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ხანგრძლივი ტრადიციები თსუ-ში
- ✓ ფაკულტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი;
- ✓ ცნობილი სამეცნიერო სკოლა;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების ფართო არჩევანი (მათ შორის დარგები, რომლებიც მხოლოდ აქ ისწავლება);
- ✓ ინტენსიური კონტაქტები სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან;

- ✓ მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები;
- ✓ უწყვეტი განათლების შესაძლებლობები;

სუსტი მხარეები:

- ✓ არასაკმარისი ფინანსები;
- ✓ სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში ჩართული კადრების სიმცირე;
- ✓ სწავლების ელექტრონულ სისტემაში არსებული ხარვეზები;
- ✓ სტუდენტებისა და პროფესორებისათვის არასაკმარისი რეკრეაციული სივრცე.

განვითარების შესაძლებლობები:

- ✓ დამატებითი ფინანსების მოზიდვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობიდან კომერციული შემოსავლების დაგეგმვა და გაზრდა;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;
- ✓ ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- ✓ უახლესი სამეცნიერო დარგების განვითარებისთვის ახალი სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის (ინსტიტუტის) შექმნა;
- ✓ სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პოტენციალის განვითარება;
- ✓ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პოტენციალის ჩართვა საუნივერსიტეტო პროექტებში;
- ✓ სწავლებისა და კვლევით პროცესებში კვლევითი ლაბორატორიების გამოყენების ოპტიმიზაცია;
- ✓ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პოტენციალის გამოყენება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში;

რისკები:

- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი;
- ფინანსური მართვის მოუქნელობა;
- აკადემიური პერსონალის პოზიციაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვის შეზღუდული შესაძლებლობები ნაკლებად მიმზიდველი ანაზღაურების გამო.

სტრატეგიული გეგმა

არსებული მდგომარეობის ანალიზი.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი არსებობს 2014 წლის ოქტომბრიდან და აერთიანებს ორ მიმართულებას: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების. ამ სამწლიან პერიოდში

(2014-2017) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ეწევა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც აისახება მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პროდუქციაში მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ საკონფერენციო მასალებში. აღნიშნულ ჟურნალთა ნაწილი ინდექსირებულია Google Scholar-ის, Scopus-ისა და Web of Science-ის ბაზებში. ფაკულტეტი ფინანსური რესურსებით ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. 2015-2018 წლებში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის მივლინებაზე ქვეყნის გარეთ ფაკულტეტის მიერ გახარჯულია 191 500 ლარი; პროფესორთა ნაწილი აქტიურად მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში.
ფაკულტეტი განსაკუთრებით უწყობს ხელს ახალგაზრდებს - აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს. ამ მიზნით 2015 წლიდან დღემდე დაიხარჯა 71317 ლარი.

ფაკულტეტზე ამ პერიოდში ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა 12 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და ამაზე გაიხარჯა 145000 ლარი. გარდა ამისა, ფაკულტეტის პროფესორები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კვლევით პროექტებში. გარე დაფინანსების წყაროებიდან (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ფონდები) მოპოვებული გრანტებით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების (პოსტდოქტორანტების) მიერ ხორციელდება კვლევითი პროექტები.

ფაკულტეტი მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზნად აღიარებს დოქტორანტურის სწავლების ხარისხის ამაღლებასა და კვლევითი პოტენციალის თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობის გაძლიერებას. ამ მიზნით სადოქტორო პროგრამების ნაწილის პრაქტიკაში დამკვიდრდა სადოქტორო პროგრამის ყოველკვირეული სემინარი/მრგვალი მაგიდა, სადაც პროგრამის დოქტორანტები უსმენენ ერთმანეთს და წარმოდგენილი საკითხების კონტექსტში მსჯელობენ ზოგად სამეცნიერო პრობლემებზე (თეორიულ-კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური პრობლემები, ინტერ- და მულტიდისციპლინური ტენდენციები, ახალი ტექნოლოგიური მიღწევები და სხვ.)

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საფაკულტეტო ყოველკვირეული კოლოკვიუმების სერია, სადაც პროფესორები და დოქტორანტები წარდგებიან მოხსენებებით. ეს ხელს უწყობს სამეცნიერო სივრცის შექმნასა და ინფორმაციის, იდეების გაცვლას.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტური სამეცნიერო წრეები. ფაკულტეტზე თსუ ადმინისტრაციისა და სტუდენტების ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 2-3 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომლებშიც მაღალია მაგისტრანტების, დოქტორანტების და ბაკალავრების ჩართულობა. სტუდენტები აქტიურად არიან წარმოდგენილი პროფესორებთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაშიც. ფაკულტეტს ემსახურება ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს დაახლოებით 6450 ერთეულს და რომელიც ყოველწლიურად ივსება უახლესი სასწავლო და დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურით.

საგანმანათლებლო საქმიანობა. *2014 წელს ფაკულტეტის შექმნამ გააერთიანა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მიმართულებები. შესაბამის პროგრამებს გავლილი აქვთ 2011-2012 წლებში მიმდინარე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. ფაკულტეტის შექმნის პერიოდისთვის აკრედიტებული იყოს 22 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის 3 საბაკალავრო; 11 სამაგისტრო; 8*

სადოქტორო). შემდგომ წლებში ფაკულტეტს დაემატა 5 პროგრამა (მათ შორის 1 სამაგისტრო; 2 სადოქტორო; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მასწავლებელი"–60 კრედიტი; ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა). 2018 წელს აკრედიტაციაზე წარდგენილია 1 პროგრამა – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო პროგრამა (300 კრედიტი).

ფაკულტეტზე სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაკალავრიატის დონეზე კვლევითი კომპონენტის პრაქტიკულ ათვისებას. ამ მიზნით არსებობს სალექციო კურსი „კვლევითი პროექტი", რომელიც სტუდენტებს უყალიბებს კვლევის დამოუკიდებლად ორგანიზებისა და განხორციელების უნარ-ჩვევებს.

ფაკულტეტის სასწავლო მიზნებში განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს სწავლების უზრუნველყოფა ქართულენოვანი სასწავლო მასალით, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის, არამედ, საზოგადოდ, თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების ადეკვატური ქართულენოვანი სამეცნიერო სივრცის ფორმირებისთვისაც. ამ მიზნით 2015-2016 წლებში ფაკულტეტის დაფინანსებით (80000 ლარამდე), ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ (და დოქტორანტების თანამონაწილეობით) ინგლისური ენიდან გადათარგმნილი იქნა 2 ავტორიტეტული სახელმძღვანელო და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ტექსტი. სულ გადათარგმნილ იქნა 2450 ინგლისურენოვანი გვერდი. ამ მასალების საფუძველზე სხვადასხვა სალექციო კურსისთვის 15 სასწავლო რიდერი მომზადდა.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პოზიტიური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა, რომელსაც ქართველი პროფესორების გარდა, ემსახურება უცხოელი პროფესორებიც.

ინტერნაციონალიზაციისა და უცხოური სტუდენტების მოზიდვის მიზნით მნიშვნელოვანია უცხოურ ენებზე შეთავაზებული სასწავლო კურსები, რომელთა რაოდენობა მიმდინარე ეტაპზე 4-ია.

ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს: 1698 სტუდენტი, აქედან, მიმდინარე პერიოდში აქტიური სტატუსის მქონეა 1163, მთგან: ბაკალავრიატი 1015, მაგისტრატურა 386, დოქტორანტურა - 210; „მასწავლებელი" (60 კრედიტიანი) 57; პროფესიული (ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგი) – 12.

წელს დაგეგმილია სტუდენტების რიცხოვნობის მატება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე. სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება 200-მდე.

სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის ფაკულტეტზე ეტაპობრივად მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კომპიუტერული რესურს-ცენტრი და ექსპერიმენტული ლაბორატორია. ფაკულტეტს აქვს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა: ტელევიზორი (ფილიპსი) – 4 ცალი; მრავალფუნქციური პრინტერი – 12 ცალი; მონიტორი&პროცესორი – 69 ცალი; ვიდეო კამერა (პანასონიკი) – 2 ცალი; პრინტერი – 3 ცალი; დინამიკები – 1 ცალი; ნოუთბუქი (ლენოვო)– 10 ცალი; ხმის გამაძლიერებელი (audac com 12)– 2 ცალი; მიკროფონი (shure CVG18)– 4 ცალი; შტატივი (caymon cst 436/b); პროფესიონალური მიგ შერი 4–არხიანი – 2 ცალი; დინამიკი(audac wx 502) –4 ცალი; მიკროფონი

უკაბელო (audio technicaatw702) –4 ცალი; პროექტორი – 13 ცალი; დიკტოფონი – 3 ცალი; ფოტოაპარატი ნიკონი – 3 ცალი.

მესამე კორპუსის საერთო ფართია - 3091.48 კვ.მ

სასწავლო ფართის საერთო რაოდენობა - 1326,85 კვ/მ

(აქედან, საკონფერენციო დარბაზის- 113,62 კვ/მ-ის გამოყენება შეუძლებელია, სარემონტოა და ნესტიანი)

დამხმარე ფართის საერთო რაოდენობა- 847,62კვ/მ.

(აქედან, ფაკულტეტის ადმინისტრაცის ოთახების საერთო ფართი 288,13 კვ/მ;

უნივერსიტეტის სხვა სამსახურების ოთახების საერთო ფართი 166,29 კვ/მ.

გამოსაყენებლად უვარგისი სარდაფები -173,98 კვ/მ,

სარდაფების ის ნაწილი, რომელთა გამოყენება შეიძლება-219,22კვ.მ.

საგანმანათლებლო პროგრამის დაახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ხელს შეუწყობს გაიზარდოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

მიმდინარე ეტაპზე სტუდენტთა დასაქმება შემდეგი ტენდენციით ხასიათდება:

საბაკალავრო პროგრამები:

1. ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 32%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 46% კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –73%

2. დაწყებითი განათლება – 35%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 64% კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –73%

სამაგისტრო პროგრამები:

1. კლინიკური ნეიროფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი –100%

2. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 50%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 0% კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 40%;

3. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

4. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 50%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%;

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

5. განათლების ფსიქოლოგია და კვლევა – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 25%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 86%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

6. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 89%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 92%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

7. ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება და კონსულტირება – კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 56%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

8. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 83%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 71%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 86%;

9. იურიდიული ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 67%;

10. განათლების მეცნიერებები – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 75%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 25%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 92%;

11. მასწავლებელთა განათლება – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 62%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 88%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

სადოქტორო პროგრამები:

1. კლინიკური ნეიროფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

2. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

3. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

4. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

5. პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

6. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

7. ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

8. განათლების მეცნიერებები – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად – 100%; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი –100%;

9. განათლების ფსიქოლოგია – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

10. პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები – სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი – 100%;

სტუდენტური ცხოვრება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათ შორის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პრიორიტეტია სტუდენტების პირობების გაუმჯობესება და მათზე ზრუნვა. სტუდენტების უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია თსუ-ის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებებით. ისინი აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში, წარმოდგენილნი არიან უნივერსიტეტის სენატსა და ფაკულტეტების საბჭოებში, ქმნიან სტუდენტურ თვითმმართველობას, რომელიც საქმიანობას შესაბამისი დებულებით ახორციელებენ. თსუ-ში სტუდენტების უფლებებს იცავს ომბუდსმენის ინსტიტუტი.

ფაკულტეტზე სწავლების სამივე საფეხურზე დანარგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. სტუდენტთა ჩართულობა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, კერძოდ, ისინი მონაწილეობენ სტუდენტთა გამოკითხვებში (თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის მიერ განხორციელებულ გამოკითხვაში ყოველ სემესტრში მონაწილეობას იღებს ფაკულტეტის აქტიური სტუდენტების 70%). მათ მიერ წარმოდგენილ შეფასებებს აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციას და შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელებს წარუდგენს ანალიზს, რასაც მოჰყვება რეაგირება. აღნიშნული პროცესი მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. სტუდენტებს აქვთ თანაბარი წვდომა პროექტების დაფინანსებაზე.

ფაკულტეტის სტუდენტებს დახმარებას უწევს: სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრები, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის გარეთ არსებული აქტივობებში, კერძოდ, მეცნიერების,

კულტურისა და განათლების მიმართულებით თსუ მასშტაბით მოქმედებს სტუდენტური პროექტების დამფინანსებელი საბჭო, რომელიც აფასებს და აფინანსებს სტუდენტური პროექტებს. ფაკულტეტზე ყოველსემესტრულად ასეთი 2-3 სამეცნიერო და კულტურულ-საგანამანთლებლო პროექტი ფინანსდება.

ფაკულტეტი ორიენტირებულია სტუდენტური სივრცეების მოწყობაზე, საგეგმო პერიოდში დაგეგმილია სტუდენტური თავისუფალი სივრცეების გაზრდა და რეკრეაციული გარემოს მოწყობა ეზოში.

ინსტიტუციური განვითარება.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სასწავლო, სამეცნიერო პროცესების ეფექტიანი განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ფაკულტეტზე არის 20 თანამშრომელი, აქედან ადმინისტრაციული პერსონალი 4 და დამხმარე პერსონალი - 16; ერთ სპეციალისტზე მოდის 106 სტუდენტი.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 39 (მათ შორის, აფილირებულია-37); პროფესორი-7; ასოცირებული პროფესორი-20; ასისტენტ-პროფესორი-12), მოწვეული პერსონალი სემესტრულად საშუალოდ 112 პედაგოგია. აქტიური სტუდენტების რაოდენობა არის 1163 სტუდენტი (ან ზოგჯერ მეტი), საშუალოდ ერთ აკადემიურ პერსონალზე მოდის 30 სტუდენტი.

მიზანი და ამოცანები

მიზანი: შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა სფეროების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>მოკლევადიანი პერიოდის ამოცანები</u> - ფაკულტეტის აქტიური ჩართულობა თსუ-ის და საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული სამართლებრივი რეგულაციების დახვეწის პროცესში, სწავლებისა და კვლევის ხარისხის თვისებრივი გაუმჯობესება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის სრულყოფა, სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესება.

<u>გრძელვადიან პერიოდის ამოცანები -</u> უცხოენოვანი, ორმაგი ხარისხის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების მომზადება, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა, საერთაშორისო საგანმანათლებლო - სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საქმიანობის კომერციალიზაცია და საზოგადოების საჭიროების შესაბამისი, გაყიდვადი პროდუქტების შექმნა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითადი მიზნის, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდის ამოცანების განხორციელება ეფუძნება საუნივერსიტეტო განვითარების სტრატეგიულ გეგმას 2018-2024 წლებისათვის (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N79, 26.02.2018). თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ძირითადი მისიაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში ევროპული ღირებულებების დამკვიდრებაში, რომელიც ეფუძნება ფუნდამენტური კვლევების განხორციელებასა და საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაციას.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

მისია:

- კონკურენტუნარიანი სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შექმნა სტუდენტებისა და პროფესორებისათვის, სადაც თავისუფლად მოხდება ცოდნის გენერირება, გადაცემა და გაცვლა ფსიქოლოგიის დარგებსა და განათლების მეცნიერებებში.
- ფაკულტეტის პოზიტიური, კოლაბორაციული და ინკლუზიური საგანმანათლებ ლო–კვლევითი და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.
- სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
- ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;
- დისციპლინური საზღვრების გახსნილობა და ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა.

ასეთი აკადემიური ატმოსფეროს შესაქმნელად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ადმინისტრაციული, სასწავლო, სამეცნიერო, ინფრასტრუქტურული კომპონენტების გაუმჯობესება და ამისათვის კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა.

პრიორიტეტები:

1. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტების მიერ ფუნდამენტური ცოდნის ათვისება, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება და ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება; შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის გამოშვება.
2. პროფესორების სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ინტერნაციონალიზაცია: უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევითი პროექტებისა და სასწავლო პროგრამების, ორენოვანი კურსების შექმნის ხელშეწყობა;
3. პროფესორების კარიერული წინსვლის, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
4. პროფესორების სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა და სტიმულირება;
5. პროფესორების მოტივირება ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებით;
6. ფსიქოლოგიის და განათლების დარგების კომერციალიზაცია და ფაკულტეტისთვის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძვლის შექმნა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია აგებულია თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმართულებების შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია ოთხი სტრატეგიული მიმართულება:

I. სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა;
II. საგანმანათლებლო საქმიანობა;
III. სტუდენტური ცხოვრება;
IV. ინსტიტუციური განვითარება.

I. სტრატეგიული მიმართულება: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციული საქმიანობა

I.1 სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება

- საერთო საუნივერსიტეტო მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის განვითარებასა და დაგეგმვაში ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება იმისთვის, რომ სტანდარტი ითვალისწინებდეს ფაკულტეტის სპეციფიკას.
- სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება - მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობა წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.
- პოსტდოქტორანტურის სისტემის განვითარება - პოსტდოქტორანტების ჩართვა სასწავლო და სამეცნიერო კვლევის პროცესში, მათი პროფესიული

განვითარება.

- სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის მიზნით მთარგმნელობითი და საგამომცემლო კომერციული სამეცნიერო პროდუქტის შექმნა, რომელიც განაპირობებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცოდნის დონის ამაღლებას, ასევე, შექმნის საფუძველს დამატებით ფინანსური შემოსავლების მიღებისათვის.
- საერთაშორისო, რესპუბლიკური და საფაკულტეტო კონფერენციების ორგანიზება და შესაბამისი მასალების გამოცემა.
- საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა.
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში.
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკური ნორმების დანერგვა, რაც აუცილებელია პროფესორების ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის. ამ მიმართულებით შესაძლებელია თანამშრომლობა სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებთან.
- ფაკულტეტზე პლაგიატის პრევენციაზე ზრუნვა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.

I.2 სამეცნიერო-კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა და დოქტორანტების მომზადების ხარისხის ამაღლება. გაცვლით პროგრამებში მონაწილე დოქტორანტების მიერ გრანტის მოპოვების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა და წახალისება.
- კვლევითი კომპონენტის გაძლიერება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც სტიმულს მისცემს სტუდენტებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; გაიზრდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების რაოდენობა.
- დოქტორანტებისთვის საფაკულტეტო ღონისძიებების დაგეგმვა მათი კვლევითი საქმიანობის გააქტიურების მიზნით.

I.3 სამეცნიერო-კვლევების და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით. ინტერნაციონალიზაცია გაზრდის სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობას, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოფები და სხვ.) რაოდენობას. ფაკულტეტი ხელს შეუწყობს გაიზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე აკადემიური პერსონალის, სტუდენტების რაოდენობა.

I.4 სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტების ეფექტიანი მუშაობისათვის, კომუნიკაციისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხიანად განხორციელებისთვის სამუშაო სივრცეების გაზრდა და სრულყოფა შესაბამისი აღჭურვილობით.
- ფაკულტეტის საბიბლიოთეკო ფონდების მუდმივი შევსება უახლესი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით, სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც გაზრდის სტუდენტების წვდომას ელექტრონულ წყაროებზე, ასევე, შესაბამისად, დაგეგმილია ბიბლიოთეკისთვის სამუშაო სივრცის გაზრდა და მისი აღჭურვა დამატებითი კომპიუტერებით.
- სწავლებისა და კვლევისთვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და კომპიუტერული პროგრამების შექმნა.

II. სტრატეგიული მიმართულება: საგანმანათლებლო საქმიანობა

II.1 საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია

- საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც გაზრდის დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობას;
- აკრედიტაციისათვის ფსიქოლოგიის განახლებული საბაკლავრო პროგრამის მომზადება;

- უცხოენოვანი და ბილინგვური, ორმაგი და ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელი სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. გამომდინარე არსებული პრაქტიკიდან, პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული ორმაგი ხარისხის პროგრამები. იგი ხელს შეუწყობს კონტინგენტის მოზიდვასა და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.
- ახალი, ბაზარზე ორიენტირებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდების მოდერნიზაცია, მედია და კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობისა და სტუდენტების კმაყოფილების დონის ამაღლებას.
- სწავლების პროცესში სტუდენტებისათვის პრაქტიკული ჩვევების სწავლების დონის ამაღლება და ამისათვის ფაკულტეტის ადამიანური რესურსის და თსუ კურსდამთავრებულთა მაქსიმალურად გამოყენება.
- სასწავლო პროცესში დარგის წამყვანი სპეციალისტების, თსუ კურსდამთავრებულების აქტიური ჩართვა დარგის პოპულარიზაციის, გამოყენებითი მიმართულებების განვითარების მიზნით;
- ლექციებისა და სემინარული მეცადინეობების ჩატარების მონიტორინგი, მათ ხარისხიან ჩატარებასა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ეთიკური ნორმების დაცვაზე ზრუნვა. კვალიფიციური ლექტორების მოსამზადებელი გეგმის და მექნიზმის შემუშავება სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში;
- დოქტორანტების სასწავლო-აკადემიურ პროცესში აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა;
- ელექტრონული კურსების შექმნა და დისტანციური სწავლების კონცეფციის შემუშავება;
- თანამედროვე ქართულენოვანი საკითხავი მასალების შექმნა ბაკალავრიატის სასწავლო კურსებისათვის, რაშიც აქტიურად იქნებიან ჩართული როგორც პროფესორები, ისე დოქტორანტები.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტების დახმარება სასწავლო პროცესთან ადაპტაცია-აკომოდაციაში;
- ცალკეული მიმართულებებით პროფესიული პროგრამების განვითარება. კერძოდ, პროფესიული პროგრამების განსავითარებლად უნდა შეიქმნას ბაზრის

შესაბამისი იდენტიფიცირებული, პრიორიტეტული მიმართულებების აკრედიტებული პროფესიული პროგრამები, რაც აამაღლებს პროფესიული მიმართულებით სტუდენტების რაოდენობას და გაზრდის ფინანსურ შემოსავლებს.

II.2 საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

- განათლების საერთაშორისო სივრცეში მონაწილეობის მისაღებად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან თანამშრომლობით, ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას.
- უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესებას. იგი ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების მონაწილეობას, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ეფექტიან გამოყენებას, უცხო ენაზე სასწავლო კურსების ათვისებას და სხვა. იგეგმება უცხო ენაზე შეთავაზებული სასწავლო კურსების ზრდა, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტინგენტისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების ვაკანტური ადგილების გაზრდა, ფაკულტეტზე საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება.
- უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების განხორციელების ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას გაცვლით პროეტებში და ღონისძიებებში, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მოზიდვას.
- ფაკულტეტის აქტიური ჩართვა მობილობის პროგრამებში, როგორიცაა ერაზმუსი, ერაზმუს+;
- კოტუტელე-ს რეალიზაციაზე ზრუნვა, პროცედურების დახვეწა, საფაკულტეტო ხელშეკრულების ფორმის შემუშავება.

II.3 მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა

- უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის პროფესიული და პიროვნული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების

/კურსების/პროგრამების/ ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც აამაღლებს კვალიფიკაციის დონეს.

- აკადემიური პერსონალის ტრენინგის ხელშეწყობა სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდების გაცნობისა და გამოყენების მიზნით;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რაც გაზრდის უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) პოპულარობას, მოსწავლეებში მოტივაციას, მეცნიერებისადმი ინტერესის გაჩენას და საუკეთესო აბიტურიენტების მოზიდვას.
- უწყვეტი განათლების პროგრამების განვითარება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების მიმართულებით, რადგანაც ძლიერია საზოგადოებრივი მოთხოვნა კონკრეტული უნარების თუ ცოდნის შეძენისათვის როგორც ფსიქოლოგიის, ასევე განათლების სფეროში; სასერტიფიკატო კურსების შემუშავება და დანერგვა, რაც ფაკულტეტის ეკონომიკურ მდგრადობასაც შეუწყობს ხელს.

II.4 საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- საგანმანათლებლო გარემოს (აუდიტორიები, სასწავლო ლაბორატორიები, ახალი რესურსცენტრები) გაუმჯობესება შრომითი პროდუქტულობისა და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;
- ფაკულტეტისა და თსუ–ის ადმინისტრაციის კოორდინაციით შეძენილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გაფართოება და განახლება;
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკისა და სტუდენტების სარესურსო ოთახის გაერთიანება ისე, რომ სტუდენტებმა შეძლონ ბიბლიოთეკაშივე კომპიუტერზე მუშაობა და ელექტრონულ საინფორმაციო ბაზებთან წვდომა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაფართოება;
- საბაკალავრო დონეზე კვლევითი კომპონენტის სწავლების გაძლიერება და შესაბამისი საგნების სილაბუსების განახლება, ახალი კურსების შემუშავება, სტუდენტების შრომითი ბაზრისთვის უკეთესი მომზადების მიზნით.

III. სტრატეგიული მიმართულება: სტუდენტური ცხოვრება

- საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების გაუმჯობესების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ზრდა, მათი გამოკითხვის სისტემის გაუმჯობესებით;
- ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ადმინისტრაციასთან შეხვედრების ორგანიზაცია, სადაც განხორციელდება სტუდენტთა პრობლემებისა და მოსაზრებების პერიოდული განხილვა. პრობლემების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელი გახდება სტუდენტთა მოსაზრების გათვალისწინება.
- თსუ-ის კარიერული ცენტრისა და ფაკულტეტის თანამშრომლობით, სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმებას.
- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების პარალელურად შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მექანიმიზმის შემუშავება. მოწინავე და სოციალურად დაუცველი სტუდენტების სასტიპენდიო სისტემის სრულყოფა; აღნიშნული სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერა სტიმულს შეუქმნის მათ გააგრძელონ სწავლა, რაც შეამცირებს სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობას.
- საუკეთესო სტუდენტებისათვის (სპეციალური კრიტერიუმების დადგენის საფუძველზე) სარეკომენდაციო წერილის პრაქტიკის შემუშავება, რომელსაც გასცემს ფაკულტეტის საბჭო.
- საგანმანთლებლო პროგრამების, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ფართო საზოგადოებისთვის მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალების, საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში აქტივობების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ღია კარის დღეების მოწყობა და სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა.
- სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრის სერვისების დანერგვა და გაფართოება, რაც დაეხმარება სტუდენტებს პერსონალური საკითხების, კარიერის თუ სწავლის საკითხების ეფექტურად გადაჭრაში.
- სტუდენტების ინიციატივების წახალისება სასწავლო, სამეცნიერო თუ დასვენების სფეროებში და ამ საკითხებზე მჭიდრო თანამშრომლობა სტუდენტთა თვითმმართველობასთან და სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან.

IV. სტრატეგიული მიმართულება: ინსტიტუციური განვითარება

მართვის სისტემის, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება

- ფაკულტეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. ეროვნული და საერთაშორისო პროექტებიდან, გრანტებიდან, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფიდან, ასევე, საზოგადოებრივი სერვისებიდან მიღებული შემოსავლების მოძიება და ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა.
- ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების შეფასების სისტემის სრულყოფა და დანერგვა; ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა აკადემიური პერსონალის კონკურსის გზით შერჩევის განახლებული/მოდერნიზებული წესისა და კრიტერიუმების შედგენაში;
- ფაკულტეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის თსუ-ის ადმინისტრაციასთან ერთობლივად ფინანსური ურთიერთობის მისაღები ნორმატიული მოდელის შემუშავება;
- მოწვეული პერსონალის ეტაპობრივი შემცირება და აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რომელიც უნდა განხორციელდეს საათობრივი დატვირთვის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის საფუძველზე დეპარტამენტების მიხედვით;
- სტუდენტების და პროფესორების არაფორმალური ურთიერთობების ხელშეწყობა აკადემიურ-მეცნიერულ კონტექსტში;
- ფაკულტეტის ცნობადობის ამაღლება და კორპორატიული კულტურის დანერგვა.